



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 3 21 0001086974



13/10/2021

**„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის
გასწორების შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2021 წლის 30 სექტემბრის №1002585 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი“-ს მე-9 მუხლის მე-5 და მე-11 პუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ინფორმაციის ტექნოლოგია“:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სტრუქტურა და მოდულები“-ს ნაწილში, პროფესიულ მოდულში - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, პროფესიული მოდულის ფორმულირება „ბაზისური კომუნიკაცია და მარშუტიზაცია კომპიუტერულ ქსელებში“ ჩანაცვლდეს შემდეგი რედაქციით: „ბაზისური კომუნიკაცია და მარშუტიზაცია კომპიუტერულ ქსელებში“ (შესაბამისი მოდულის სახელწოდებაა „ბაზისური კომუნიკაცია და მარშუტიზაცია კომპიუტერულ ქსელებში“ (სარეგისტრაციო № 0611219));

ბ) მოდულში „გაცნობითი პრაქტიკა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (სარეგისტრაციო № 0611209), პირველი სწავლის შედეგის მესამე შესრულების კრიტერიუმის ფორმულირება „აღწერს ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდამჭერი სპეციალისტის სამუშაო გარემოს მოწყობის ძირითად პრინციპებს“, ჩანაცვლდეს შემდეგი რედაქციით: „აღწერს კომპიუტერული ქსელისა და სისტემების სპეციალისტის სამუშაო გარემოს მოწყობის ძირითად პრინციპებს;“ (ტერმინი „ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდამჭერი სპეციალისტი“ ჩანაცვლებულია ტერმინით: „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების სპეციალისტი“);

გ) მოდულის - „პრაქტიკული პროექტი - კომპიუტერულ ქსელი და სისტემები“ (სარეგისტრაციო № 0611210) სახელწოდების ფორმულირება და შესაბამისი ფაილის დასახელება - „პრაქტიკული პროექტი - კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში“, ჩანაცვლდეს შემდეგი რედაქციით: „პრაქტიკული პროექტი - კომპიუტერული ქსელი და სისტემები“.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

3. ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ძალაში შევიდეს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების დღეს.

4. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურთან კოორდინაციით ამ ბრძანებისა და მისი დანართის ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.

5. დაევალოს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებულ თარიღის შესაბამის ველში ამ ბრძანების გამოცემის/ძალაში შესვლის თარიღის მითითება და ამ სახით ბრძანების სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის მიწოდების უზრუნველყოფა.

6. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

